შპს აქვაენერჯი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
6. საპროცენტო ხარჯი
7. ძირითადი საშუალებები
8. ფული და ფულის ექვივალენტები
9. გრძელვადიანი სესხები
10. მოკლევადიანი სესხები
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
12. არასაოპერაციო შემოსავალი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები		3,615,330	2,402,485
დასაქმებულთა ანაზღაურება		1,471,182	929,332
ცვეთა და ამორტ. ხარჯი		633,782	18,311
იჯარის ხარჯი		70,655	32,258
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	5	4,335,238	1,663,811
საოპერაციო მოგება/ზარალი		**-2,895,527**	**-241,227**
არასაოპერაციო შემოსავალი	12	9,902,966	-
საპროცენტო შემოსავალი		-	11,738
საპროცენტო ხარჯი	**6**	5,132,553	4,307,139
სხვა არასაოპ. შემოსავალი/(ხარჯი)		3,697,288	-8,003,796
მოგება(ზარალი) დაბეგვრამდე		**5,572,174**	**-12,540,424**
მოგების გადასახადი		620	-
წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)		5,571,554	-12,540,424
წლის სრული ზარალი მისაკუთვნებელი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე		4,147,254	-11,138,329
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე		1,424,300	-1,402,095
წლის სრული მოგება/(ზარალი)		**5,571,554**	**-12,540,424**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 26 სექტემბერს:

დავითი კობერიძე,

დირექტორი



(ხელმოწერილია)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020	31.12.219
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები:				
გუდვილი		-	-	918,150
არამატერიალური აქტივები		1,481	1,253	
ძირითადი საშუალებები	7	47,498,813	37,727,906	14,183,024
სულ გრძელვადიანი აქტივები		**47,500,294**	**37,729,159**	**15,101,174**
მიმდინარე აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,246,709	2,690,628	1,729,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		746,006	622,813	28,907,787
გაცემული ავანსები		3,479,810	5,549,860	750,423
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		224,640	52,491	2,020,498
სულ მიმდინარე აქტივები		**6,697,165**	**8,915,792**	**33,407,882**
სულ აქტივები		**54,197,459**	**46,644,951**	**48,509,056**
კაპიტალი და ვალდებულებები:				
საწესდებო კაპიტალი		389,063	389,063	389,063
აუთვისებელი ზარალი		17,577,579	24,809,425	10,156,279
არამაკონტრელებელი წილი		2,826,394	2,592,000	1,280,466
სულ კაპიტალი		**20,014,910**	**27,012,362**	**11,047,682**
გრძელვადიანი ვალდებულებები:				
გრძელვადიანი სესხები	9	51,233,517	46,298,358	39,740,492
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**51,233,517**	**46,298,358**	**39,740,492**
მიმდინარე ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	298,944	352,855	2,569,898
მოკლევადიანი სესხები	10	15,604,194	19,559,203	12,852,708
გადასახდელი პროცენტები		6,927,843	7,212,044	4,132,211
საგადასახადო ვალდებულებები		147,871	234,853	261,105
სხვა ვალდებულებები		-	-	324
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**22,978,852**	**27,358,955**	**19,816,246**
სულ ვალდ.და საკუთარი კაპიტალი		**54,197,459**	**46,644,951**	**48,509,056**

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	მიმდ.წლ. მოგ/ზარ.	არამაკონტ. წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	389,063	(14,861,002)	(11,138,329)	(1,402,095)	(27,012,363)
2021 წლის მოგება	-	-	4,147,254	1,424,300	5,571,554
სხვა ცვლილებები	-	-	1,425,899	-	1,425,899
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	**389,063**	**(14,861,002)**	**(5,565,176)**	**22,205**	**(20,014,910)**

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

აკვაენერჯი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2014 წლის აგვისტოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 400123898.

კომპანია უზრუნველყოფს მომსახურებებს ჰესების პროექტირებასა და ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობებში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელი იყო შპს აქვაფაუერ თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწარმო, არაბთა გაერთიანებული საემიროები.

შპს აკვაენერჯი (შემდგომში ჯგუფი შვილობილებთან ერთად) თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილს:

კომპანიის დასახელება	წილი%
შპს აკვაჰიდროენერჯი	100%
შპს აკვაჰიდრო	80%
შპს ბლექ სი ენერჯი	50%
შპს ეკოჰიდრო	100%
შპს ეკოჰიდრო პლუსი	100%

შპს ეკოჰიდრო და შპს ეკოჰიდრო პლუსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის აღარ წარმოადგენენ შპს აკვაჰიდროს შვილობილ კომპანიებს, რადგან ჯგუფიდან გავიდნენ 2021 წლის მაისის თვეში თავის მხრივ ფლობილი შპს ჰიდროპლიუსის ჩათვლით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის უზრუნველყოფა. ჯგუფში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 33 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ აშშ დოლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (IFRS SME) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35

„მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა".

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რომელიც მომზადებულია IFRS SME-ს სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას IFRS SME -ს შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME-ს შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და

სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **აქტივის შესაქმნელად საჭირო სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.** ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

- **აღიარება და შეფასება**. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის

მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

- არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება სწრაფი და სასარგებლო მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა)

კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით ფინანსური წლის დასაწყისში. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშო პერიოდში
- გამოიყენება ძირითადად სავაჭრო მიზნებისთვისs
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის ვადაში გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღწერა	31 დეკემბერი 2021წ.
საიჯარო ქირა	70,758
აღნაგობის გადასახადი	63,927
საწვავის ხარჯი	2,139
სამეურნეო ხარჯი	71,334
ნოტარიული მომსახურება	871
საკომუნიკაციო ხარჯები	6,220
კომუნალური ხარჯები	4,267
საკონსულტაციო ხარჯები	296,484
იურიდიული მომსახურება	31,179
აუდიტის ხარჯი	262,011
ინვენტარი 1000 ლარზე ქვემოთ	2,876
კვლევის ეტაპის ხარჯები	227,480
დაზღვევა	152,152
დაცვა	14,721
ძირითადი საშუალების რემონტი	91,547
ჰიდროელექტროსად. ექსპლოატაციის ხარჯები	13,977
მოთხოვნებთან დაკავშ. ხარჯები	1,877,527
ელექტროენერგიის ხარჯები	13,311
რეგულირების საფასური	7,290
საპენსიო შენატანი	36,710
ბანკისსაკომისიო	306,462
მთარგმნელობითი მომსახურება	2,546
საჯარო რეესტრის ხარჯი	6,708
ქონების გადასახადი	600,804
გზების რეაბილიტაცია	9,825
სხვა საერთო ხარჯი	162,112
სულ	**4,335,238**

6. საპროცენტო ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოადგენს სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს.

7. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები და ნაგებობები	სხვა ძირითადი საშუალებები	საერთო	ჯამი
თვითღირებულება ნაშთი 31/12/2020	16,131,995	16,239,300	5,263,392	82,839	37,717,526
შესყიდვები	10,229,271	36,780	-	133,611	10,399,662
ცვეთა	-	410,488	212,662	7,254	630,404
ნაშთი 31/12/2021	26,361,266	15,865,592	5,050,730	209,196	47,486,784

შენიშვნა – 2020 წელს 10, 380 და 2021 წელს 12,029 ლარის სხვაობა, წარმოადგენს შპს აკვაენერჯის საოფისე ინვენტარის ღირებულებას.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021წ.	31 დეკემბერი 2020წ.
ფული ბანკში	2,208,669	2,650,389
შეზღუდული ფული (საბანკო გარანტია)	38,040	40,238
ჯამი	**2,690,628**	**2,246,709**

შპს აკვაენერჯი საგარანტიო მომსახურებას უწევს შვილობილ კომპანიებს. საგარანტიო მომსახურების ფარგლებში შპს აკვაენერჯის შვილობილი კომპანიების სახელწიფოს წინაშე ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკში ბლოკირებულ ანგარიშზე აქვს განათავსებული ფულადი სახსრები.

9. გრძელვადიანი სესხები

სესხები მიღებულია TBC და EBRD საფინანსო ინსტიტუტებიდან შპს აკვაჰიდროში და 2021 წლის ჯამური ნაშთი შეადგენს 51 233 517 ლარს, პროცენტი მიბმულია LIBOR განაკვეთზე (6%+ LIBOR)

10. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს პარტნირებისგან შპს აკვაენერჯის მიერ მიღებული სესხების ერთობლიობას, ყველა სესხს ერიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, 2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთი შეადგენს 15,624,194 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრისთვის სესხების ნაშთი შეადგენს 19,559,203 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოადგენს ქვეკონტრაქტორი კომპანიის წინაშე არსებულ ვალდებულებას.

12. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს 2021 წლის მაისის თვეში აკვაენერჯის ჯგუფიდან შპს ეკოჰიდროს, შპს ეკოჰიდრო პლიუსის და მათი შვილობილი კომპანიის, შპს ჰიდროპლიუსის გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალს, 9,902,966 ლარი.